განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ისტორია, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
5 თებერვალი, 2019

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი

18 მარტი, 2019

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ისტორია
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ისტორიის მაგისტრი - 1004
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ავტორიზებული პროგრამა გადის რეაკრედიტაციის პროცესს.

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მალხაზ თორია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლევან ჯიქია, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირაკლი ნოდია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ორი მოდულისგან (საქართველოს ისტორია და მსოფლიო ისტორია) შემდგარი ისტორიის სამაგისტრო პროგრამა 2007-2008 აკადემიური წლიდან ფუნქციონირებს. ბოლო აკრედიტაციიდან (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყეტილება N 93, 2013 წლის 30 ივლისი) დღემდე პროგრამაზე ჩაირიცხა 13 მაგისტრანტი, რომელთაგან სწავლა წარმატებით დაასრულა (2016-2017 სასწ. წელს) – 3-მმა, მათგან – 2 აგრძელებს სწავლას სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურაში („საქართველოს ისტორიის“ სადოქტორო პროგრამაზე). ამჟამად პროგრამაზე სწავლობს 7 მაგისტრანტი; სტატუსი შეჩერებული აქვს 3 მაგისტრანტს. წარმოდგენილ სამაგისტრო პროგრამაში, ძირითადად, დასაქმებულია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი. ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე სამაგისტრო პროგრამაზე შესაძლებელია 6-10 მაგისტრანტის მიღება.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

2019 წლის 5 თებერვალს შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტში.

მანამდე 4 თებერვალს 14:00 საათზე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი, რომლის წევრებმა განიხილეს უსდ-ს თვითშეფასების დოკუმენტი. განისაზღვრა ის კითხვები, რომლებიც ვიზიტის დროს დაისვა დაწესებულების ადმინისტრაციის და პროგრამის განმახორციელებლების წინაშე.

5 თებერვალს, გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, 9:00 საათზე დაიწყო სამუშაო შეხვედრა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, სტუდენტებთან, სკოლის/ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. ასევე, ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, კაბინეტები და ა.შ.) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას და ორიენტირებულია კვალიფიციური კადრების მომზადებაზე. „ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამა მოიცავს ორ სასპეციალიზაციო მოდულს: საქართველოს ისტორია და მსოფლიო ისტორია. ორივე მოდულში სასწავლო კურსები თანაბრად არის წარმოდგენილი, რაც შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს თავისუფლად გააკეთოს არჩევანი რომელიმე მოდულის სასარგებლოდ. პროგრამა უზრუნველყოფს მაგისტრანტს შესძინოს დარგობრივი და მეცნიერული კომპეტენციები საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიაში და შეუქმნას

მეთოდოლოგიური საფუძველი უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე დოქტორანტურაში – სწავლის გასაგრძელებლად. „ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია საკუთარი წვლილი შეიტანოს დარგის განვითარებაში.

- **რეკომენდაციები**

1. მისაღები გამოცდებზე მხოლოდ ტესტური დავალება არის მითითებული. უმჯობესი იქნებოდა ესსეს ფორმატის გამოცდის ჩატარება. აგრეთვე, ალტერნატივა შეიძლება იყოს კომბინირებული გამოცდის ორგანიზება, რომელშიც ესსეს და ტესტების (ღია და დახურული) კომპონენტებიც იქნება გათვალისწინებული.
2. გადასამაუშავებელია არჩევითი კურსის სილაბუსი „აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი სლავები XIX-XX საუკუნეებში“. ერთი კურსის ფარგლებში მოცემულია ძალიან ფართო და კომპლექსური თემატიკა, რომლის ათვისება ერთი სემესტრის განმავლობაში, შეუძლებელია. ამიტომ, აუცილებლად მიგვაჩნია საკითხის, პრობლემის ან/და პერიოდის დაკონკრეტება.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. დაკორექტირდეს პროგრამის მიზნებში ასახული ჩანაწერი პედაგოგიური საქმიანობისთვის სტუდენტების მომზადებასთან მიმართებაში, ან პროგრამას დაემატოს ამ მიმართულების სასწავლო კურსები
2. სასურველია, სასწავლო კურსის „დარგობრივი ინგლისური 3“, წინაპირობად განესაზღვროს სასწავლო კურსი „დარგობრივი ინგლისური 2“;
3. სასურველია სასწავლო კურსებში, სადაც სავალდებულო ლიტერატურაში მითითებულია ინგლისურ ენოვანი მასალა, წინაპირობად მიეთითოს ინგლისური ენის ფლობა B2 დონეზე. იგივე უნდა ითქვას რუსულ ენასთან დაკავშირებით თუ სავალდებულო ლიტერატურაში დარჩება რუსულენოვანი ტექსტები. მაგალითად შეიძლება დასახელდეს შემდეგი კურსები: „რომის აღმოსავლური პროინვიციების ისტორია“; „ძველი ეგვიპტური რეფორმაცია“; „შეიარაღება და სამხედრო საქმე შუა საუკუნეების ევროპაში“ და სხვა კურსები სადაც მსგავს ვითარებასთან გვაქვს საქმე.
4. სასურველია დაკორექტირდეს პროგრამაში არსებული ჩამონათვალი კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროსთან მიმართებაში
5. „პროფესიულ პრაქტიკაში“ მეორდება მეორე და მე-8 კვირის საკითხები - ხელნაწერთა ცენტრის 50 წლიანი ისტორიის გაცნობა, ქართული წერილობითი კულტურის საწყისების ზოგადი მიმოხილვა. გასასწორებელია დუბლირებული საკითხები.
6. სასურველია გაიზარდოს პროფესიული პრაქტიკისთვის გამოყოფილი საათების რაოდენობა. აგრეთვე სასარგებლო იქნება თუ უნივერსიტეტი გამოიყენებს სხვა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების (მაგალითად საქართველოს ეროვნული არქივის, ეროვნული მუზემის) პოტენციალს სტუდენტების პრაქტიკის უზრუნველსაყოფად.
7. სასურველი იქნება შუალედური გამოცდები არ იყოს მხოლოდ ტესტური ფორმატით. ალბათ, უკეთესი იქნებოდა ის იყოს კომბინირებული სახით, რომელიც შეიძლება მოიცავდეს როგორც ღია, ასევე დახურულ კითხვებს;

8. სასურველია უნივერსიტეტმა უფრო მეტად იზრუნოს კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე, დამსაქმებელთა მოძიებაზე და პროგრამის შეფასებისას მათი მოსაზრებების გათვალისწინებაზე. აგრეთვე დასაზუსტებელია დასაქმების სფეროს ფორმულირება.
9. სასურველია უნივერსიტეტმა უფრო მეტად იზრუნოს აკადემიური პერსონალის ფინანსურ მხარდაჭერაზე, ინტერნაციონალიზაციის გაზრდაზე. სასურველია ბიუჯეტში უფრო მეტად იყოს გათვალისწინებული სამეცნიერო კონფერენციებისა და მონოგრაფიების გამოცემის ხარჯები.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

წინა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციების ძირითადი ნაწილი ასე გამოიყურება:
სასურველია უფრო მეტად გამჭირვალე გახდეს სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობა: ა) სასურველია მითითებული იყოს უცხო ენის ცოდნის დონე, თუ რა დონეს უნდა აკმაყოფილებდეს კონკურსანტი. ამის აუცილებლობა ჩანს იქიდანაც, რომ სამაგისტრო პროგრამაში შეტანილია სავალდებულო ინგლისური ენა, რომელიც იწყება B2 დონიდან. ბ) სასურველია იყოს მითითებული შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ფორმა, ან გასაუბრება და იყოს მითითებული საგამოცდო საკითხები, ან ზოგადი მოთხოვნები, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს კონკურსანტი; ხშირ შემთხვევაში სილაბუსებში, არის მოძველებული ლიტერატურა, განსაკუთრებით მსოფლიო ისტორიის მოდულში. საგნის ხელმძღვანელები, უმეტესწილად ეყრდნობიან რუსულ ლიტერატურას, სასურველია უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს თანამედროვე კვლევებს.
უნდა აღინიშნოს, რომ ეს რეკომენდაციები თითქმის სრულად არის შესრულებული. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევა წინა აკრედიტაციასთან შედარებით არის ის, რომ სილაბუსებში უფრო მეტი აქცენტი კეთდება თანამედროვე ლიტერატურაზე, განსაკუთრებით ეს ითქმის მსოფლიო ისტორიის მოდულზე, რაც პროგრამის კიდევ ერთი ძლიერი მხარეა; გარდა ამისა, სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ელექტრონული სამეცნიერო ბაზები
მისასალმებელია აგრეთვე, დარგობრივი ინგლისურის სწავლება სამი სემესტრის განმავლობაში, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს დაამუშავოს შესაბამისი ინგლისურენოვანი ლიტერატურა და გამოიყენოს ის სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას. ინგლისური ენის სათანადო დონეზე ცოდნა სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო კონფერენციებში და ფორუმებში.
ბოლოს, 2013-2014 წლებში ვერ მოხერხდა სტუდენტთა მიღება პროგრამაზე. პროგრამის ხელმძღვანელებმა შეძლეს სწორი ანალიზის შედეგად ვითარების გამოსწორება და ამჟამად პროგრამას სტაბილურად ჰყავს სტუდენტები.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩააბარებს საერთო სამაგისტრო გამოცდებს და გადალახავს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს სპეციალობაში (ტესტირება, 51 ქულა). პროგრამის ხელმძღვანელებს პროგრამის მიზნებში აღნიშნული აქვთ შემდეგი: პროგრამის „მიზანია ისტორიკოსების მომზადება სამეცნიერო-კვლევითი, პრაქტიკული და პედაგოგიური საქმიანობისთვის; მათი აღჭურვა ღრმა და ფუნდამენტური თეორიული და პრაქტიკული ცოდნით“. გვინდა აღვნიშნოთ, რომ პროგრამა მოიცავს ისეთ სასწავლო კურსებს, რომლებიც შესაძლებელს ხდის სტუდენტების მომზადებას სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის. სწავლების მესამე სემესტრში გათვალისწინებულია პროფესიული პრაქტიკა სსიპ „კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში“, რაც მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზების საშუალებას იძლევა. რაც შეეხება სტუდენტების მომზადებას პედაგოგიური საქმიანობისთვის, გვინდა აღვნიშნოთ, რომ პროგრამა არ მოიცავს ისეთ სასწავლო კურსებს, რომელიც სტუდენტს ამ შედეგზე გაიყვანს. აქედან გამომდინარე უნდა მოხდეს აღნიშნული ჩანაწერის დაკორექტირება. პროგრამაში კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროს ჩამოთვლისას აღნიშნულია შემდეგი: კურსდამთავრებული შესაძლოა დასაქმდეს „ახალი ამბებისა და საინფორმაციო სამსახურებში, სარეკლამო სააგენტოებში“. ცხადია, დასაქმების სფეროს მსგავსი ფორმულირება არ შეიძლება შეადგენდეს პროგრამის მიზანს. სამაგისტრო პროგრამის მიზნები შეესაბამება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას და ორიენტირებულია კვალიფიციური კადრების მომზადებაზე. „ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამა მოიცავს ორ სასპეციალიზაციო მოდულს: საქართველოს ისტორია და მსოფლიო ისტორია. ორივე მოდულში სასწავლო კურსები თანაბრად არის წარმოდგენილი, რაც შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს თავისუფლად გააკეთოს არჩევანი რომელიმე მოდულის სასარგებლოდ. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ პროგრამა უზრუნველყოფს მაგისტრანტს შესძინოს დარგობრივი და მეცნიერული კომპეტენციები საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიაში და შეუქმნას მეთოდოლოგიური საფუძველი უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე დოქტორანტურაში – სწავლის გასაგრძელებლად. „ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია საკუთარი წვლილი შეიტანოს დარგის განვითარებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უნივერსიტეტის მისია ○ სამაგისტრო პროგრამა, სტრუქტურა – იხილეთ დანართებში N1 ფოლდერში

პროგრამა და სილაბუსები ○ სილაბუსები – იხილეთ დანართებში N1 ფოლდერში პროგრამა და სილაბუსები ○ პროგრამის შედეგების შეფასების ანგარიში (**იხ. ფოლდერი #17**)
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ დაკორექტირდეს პროგრამის მიზნებში ასახული ჩანაწერი პედაგოგიური საქმიანობისთვის სტუდენტების მომზადებასთან მიმართებაში, ან პროგრამას დაემატოს ამ მიმართულების სასწავლო კურსები ○ დაკორექტირდეს პროგრამაში არსებული ჩამონათვალი კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროსთან მიმართებაში
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს და გათვლილია 4 სემესტრზე, თითოეულ სემესტრში განსაზღვრულია 30 კრედიტი. პროგრამაში კრედიტები შემდეგნაირადაა გადანაწილებული: **36 ECTS** კრედიტი – ეთმობა სამაგისტრო პროგრამის საერთო სავალდებულო სასწავლო კურსებს; **36 ECTS** კრედიტი – ეთმობა შესაბამისად *„საქართველოს ისტორიისა“* და *„მსოფლიო ისტორიის“* მოდულების **სავალდებულო სასწავლო კურსებს**; **18 ECTS** კრედიტი ეთმობა შესაბამისად *„საქართველოს ისტორიისა“* და *„მსოფლიო ისტორიის“* მოდულების **არჩევით სასწავლო კურსებს**; **30 ECTS** კრედიტი – სამაგისტრო პროექტი-ნაშრომის შესრულებას. მისასალმებელია დარგობრივი ინგლისურის სწავლება სამი სემესტრის განმავლობაში, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს დაამუშავოს შესაბამისი ინგლისურენოვანი ლიტერატურა და გამოიყენოს ის სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას. ინგლისური ენის სათანადო დონეზე ცოდნა სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო კონფერენციებში და ფორუმებში.

სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ისტორიის დარგში ექნება ღრმა და სისტემური ცოდნა, რაც გაუადვილებს მას მოახდინოს ცალკეული პრობლემების გაცნობიერება და მოიძიოს მისი გადაჭრის გზები. კურსდამთავრებულს აქვს სათანადო ცოდნა ისტორიის დარგის ძირითადი მახასიათებლების, დარგობრივი ცნებებისა და ტერმინოლოგიის, დარგის მთავარი პრინციპების, თეორიებისა და კონცეფციების, სიახლეების, კვლევის მეთოდებისა და პროფესიული პასუხისმგებლობის, მსოფლიო ისტორიის მეცნიერული შესწავლის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ და ა. შ. მიღებული ცოდნის საფუძველზე კურსდამთავრებულს შეუძლია კვლევითი, ან პრაქტიკული ხასიათის სამუშაოს შესრულება. პროგრამას ერთვის კურიკულუმის რუკა, რომელშიც მოცემულია სწავლის ის შედეგები, რომელზეც გაჰყავს თითოეულ სასწავლო კურსს სტუდენტი. პროგრამაში არსებული სასწავლო კურსები სრულად შეესაბამება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს, ასევე შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან, რეალისტური და მიღწევადია. სტუდენტებისთვის სწავლების მესამე სემესტრში გათვალისწინებულია პროფესიული პრაქტიკა სსიპ „კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში“ 3 კრედიტის მოცულობით (75 საათი). სტუდენტებმა ექსპერტებთან საუბრისას აღნიშნეს, რომ სასურველია თუ გაიზრდება პროფესიული პრაქტიკისთვის გამოყოფილი საათების რაოდენობა. გარდა ამისა, მიგვაჩნია, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უნდა გამოიყენოს სხვა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების (მაგალითად საქართველოს ეროვნული არქივის) პოტენციალი სტუდენტების პრაქტიკის უზრუნველსაყოფად. აღსანიშნავია, რომ 2013-2014 წლებში ვერ მოხერხდა სტუდენტთა მიღება პროგრამაზე. პროგრამის ხელმძღვანელებმა შეძლეს სწორი ანალიზის შედეგად ვითარების გამოსწორება და ამჟამად პროგრამას სტაბილურად ჰყავს სტუდენტები. ისტორიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს თეორიულთან ერთად პრაქტიკული ცოდნა, რაც მას საშუალებას მისცემს სწორად განსაზღვროს თავისი შესაძლებლობები შრომის ბაზარზე და შეძლოს პროფესიით დასაქმება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უნივერსიტეტის მისია ○ სამაგისტრო პროგრამა, სტრუქტურა - იხილეთ დანართებში N1 ფოლდერში პროგრამა და სილაბუსები ○ სილაბუსები - იხილეთ დანართებში N1 ფოლდერში პროგრამა და სილაბუსები ○ პროგრამის შედეგების შეფასების ანგარიში - იხილეთ ფოლდერი 8
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრულია დაშვების შემდეგი წინაპირობები: • ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ნებისმიერი სპეციალობით; საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება; • შიდა საუნივერსიტეტო სასპეციალიზაციო წერითი გამოცდა; • უცხო ქვეყნის მოქალაქეები მიიღებიან საერთო სამაგისტრო გამოცდის გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით; • სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტებიდან და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მობილობის წესით გადმოსული სტუდენტებისათვის ქართული *„ისტორიის“* სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტთა მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანების შესაბამისად და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ნორმატიული

აქტების საფუძველზე. მთლიანობაში, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულ სტანდარტებს. სპეციალობაში მისაღები გამოცდები ტარდება ტესტირების ფორმით, სადაც მოცემულია კითხვები საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიიდან (მოცემულია პასუხის რამდენიმე ვარიანტი, რომელთაგან აპლიკანტმა უნდა აირჩიოს ერთი სწორი პასუხი). მხოლოდ ტესტირებით ცოდნის შემოწმება ვერ ხერხდება, შესაბამისად ჩვენი აზრით უმჯობესი იქნებოდა ესსეს ფორმატის გამოცდის ჩატარება. აგრეთვე, ალტერნატივა შეიძლება იყოს კომბინირებული გამოცდა, რომელშიც ესსეს და ტესტების (ღია და დახურული) კომპონენტებიც იქნება გათვალისწინებული. იგივე ეხება შუალედურ და ფინალურ გამოცდებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა (იხ. ფოლდერი #1) ○ ვებ-გვერდი www.sou.edu.ge ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: მისაღებ გამოცდებზე მხოლოდ ტესტური დავალება არის მითითებული. უმჯობესი იქნებოდა ესსეს ფორმატის გამოცდის ჩატარება. აგრეთვე, ალტერნატივა შეიძლება იყოს კომბინირებული გამოცდა, რომელშიც ესსეს და ტესტების (ღია და დახურული) კომპონენტებიც იქნება გათვალისწინებული. იგივე ეხება შუალედურ და ფინალურ გამოცდებს.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამა შედგება ორ სასპეციალიზაციო მოდულისგან: „საქართველოს ისტორია“ და „მსოფლიო ისტორია. პროგრამის სტრუქტურა, მისი შემადგენელი კომპონენტები აგებულია დაყოფის ამ პრინციპზე. კერძოდ, პროგრამით განსაზღვრულია სასწავლო კურსების სამი ბლოკი: პირველ ჯგუფში შედის ორივე მოდულისათვის საერთო სავალდებულო სასწავლო კურსები, რომლებიც მიმართულია სწავლების პირველ საფეხურზე მიღებული ცოდნის განვრცობაზე და გაღრმავებაზე სპეციფიურ საკითხებზე ფოკუსირების გზით; კურსების მეორე ჯგუფი მაპროფილერებელი მოდულებისთვის რელევანტურ სავალდებულო კურსებს მოიცავს, რომლებიც ორიენტირებულია ღრმა და საფუძვლიანი პროფესიული ცოდნის მიცემაზე და ხელს უწყობს დარგობრივი, მეცნიერული კომპეტენციების შეძენას; მესამე, არჩევითი ჯგუფის სასწავლო კურსები ორივე მოდულის სტუდენტებისთვის არის განკუთვნილი და სპეციფიური პრობლემების გარშემო ღრმა და კვალიფიციური ცოდნის მიცემას ისახავს მიზნად. ამ კატეგორიის კურსების გავლით მაგისტრანტი საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე იღრმავებს ცოდნას და დარგობრივ კომპეტენციებს.
აგრეთვე აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის სტატუსიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე, სასწავლო პროგრამაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს აფხაზეთის ისტორიის პრობლემატიკას. ექსპერტთა ჯგუფთან საუბარში უნივერსიტეტის რექტორი და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ამ თავისებურებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა.
სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებულია პროფესიული პრაქტიკის კურსის გავლა (III სემესტრში – 3 კრედიტი). კურსის დასკვნით ეტაპზე განსაზღვრულია პროექტის პრეზენტაცია. პროგრამის კვლევით კომპონენტს ეთმობა 30 კრედიტი. კერძოდ, მაგისტრანტი ბოლო, IV სემესტრში წარადგენს და საჯაროდ იცავს სამაგისტრო ნაშრომს.
მთლიანობაში პროგრამა შეესაბამება სწავლების საფეხურს და ორიენტირებულია სწავლის კონკრეტული შედეგების მიღწევაზე - დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების განვითარებაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა (N1 ფოლდერი);
- სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკა;
- ვებგვერდი;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ისტორიის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო ბადეში საქართველოს და მსოფლიო ისტორიის მოდულების, როგორც საერთო ისე მაპროფირებელი კურსები ლოგიკურად და თანმიმდევრულად ენაცვლება ერთმანეთს და უზრუნველყოფს პროგრამაში გაწერილი მიზნების რეალიზაციას და შედეგების მიღწევას.

ორივე მოდულის საერთო სავალდებულო სასწავლო კურსებს რაც შეეხება, პირველი სემესტრი ეთმობა კვლევის მეთოდოლოგიას; უცხო ენა – I (დარგობრივი ინგლისური); რომაული სამყარო და საქართველო, რომლებიც მიზნად ისახავენ მაგისტრანტებისთვის კვლევითი უნარების გამომუშავებას, უცხო ენის ფლობის გაღრმავებას, მსოფლიო და საქართველის ისტორიის ძველი პერიოდის საკვანძო მომენტის და ურთიერთმიმართების შესწავლას.

მეორე სემესტრში გრძელდება უცხოე ენა II (დარგობრივი ინგლისური), აქ უკვე შემოდის სასწავლო კურსი საისტორიო აზროვნების განვითარება და კვლევა, რომელიც თეორიული ცონდის გაღრმავებაზეა ორიენტირებული. ამ სემესტრში ორივე მოდულის გამაერთიანებელი კურსი არის ბიზანტიის იმპერია და ქართული პოლიტიკური სამყარო – მესამე სემესტრში გრძელდება უცხო ენა, კურსი საქართველო და ევროპა XV საუკუნიდან დღემდე აგრძელებს საქართველოსა და გარე სამყაროს მიმართების შესწავლას შუა საუკუნეებში. ამ სემესტრში სტუდენტები იწყებენ პროფესიულ პრაქტიკას. „პროფესიულ პრაქტიკის“ სილაბუსში მეორდება მეორე და მე-8 კვირის საკითხები - „ხელნაწერთა ცენტრის 50 წლიანი ისტორიის გაცნობა, ქართული წერილობითი კულტურის საწყისების ზოგადი მიმოხილვა“. უნდა აღმოიფხვრას საკითხების დუბლირება.

პარალელულად, მაგისტრატები გადიან კონკრეტული მოდულისთვის სავალდებულო კურსებს. საქართველოს ისტორიის მოდულის კურსებია: საქართველო საერთაშორისო არენაზე უძველესი დროიდან XVI საუკუნემდე; „ქართლის ცხოვრება“ საქართველოს ისტორიის წყარო ნაწილი I. უძველესი დროიდან XIII ს. დამდეგის ჩათვლით (პირველი სემესტრი).საქართველო საერთაშორისო არენაზე XVI საუკუნიდან XXI ს. დამდეგის ჩათვლით; „ქართლის ცხოვრება“ საქართველოს ისტორიის წყარო ნაწილი I I. XIII- XVIII ს. დამდეგი (მეორე სემესტრი); XVI – XIX ს. I ნახევრის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის პრობლემები; საქართველოს პოლიტიკური ისტორიის პრობლემები XIX ს. მიწურულსა და XX ს. I ახევარში (მესამე სემესტრი).

საქართველოს ისტორიის მოდულის ფარგლებში განსაზღვრულია არჩევითი კურსები (18 კრედიტი), რომლებიც მაგისტრანტებს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე საქართველოს ისტორიის ცალკეულ პრობლემებზე, თემებზე და პერიოდებზე ცოდნის გამყარების და გაღრმავების საშუალებს აძლევს. ეს კურსებია: „წერილობითი კულტურა საქართველოში და ძველი ქართული წერილობითი მემკვიდრეობა“; „სამოხელეო წყობა ძველი და შუა საუკუნეების საქართველოში“; „ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ – გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის წყარო“’ „საქართველო

და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე“; „საქართველო-იტალიის ურთიერთობები. ისტორია და თანამედროვეობა“; „საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობები. ისტორია და თანამედროვეობა“; „მრავალეთნიკური და მრავალკულტურული საქართველო“ (ტემპუსის სილაბუსი); „საქართველო და ოსმალეთი XV-XIX საუკუნეებში“.

არჩევითი კურსების ჩამონათვალში კონკრეტული შინაარსის კურსების არსებობა განპირობებულია როგორც, ძირითადად, ამა თუ იმ საკითხის გარშემო ცოდნის გაღრმავების მიზნით, ასევე, ცალკეულ პრობლემებზე სპეციალისტების ყოლით (მაგალითად, საქართველო-იტალიის და საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობების ისტორიის მიმართულებით). შესაბამისად, მათი სამეცნიერო პროფილი აისახა კურსების შინაარსში. გარდა ამისა, ერთი კურსი შეიქმნა საერთაშორისო თანამშრომლობის, კერძოდ ტემპუსის პროექტის, ფარგლებში (მრავალეთნიკური და მრავალკულტურული საქართველო).

მსოფლიო ისტორიის მოდულის ფარგლებში მაგისტრანტები გადიან კურსებს: „ბიბლია და ძველი აღმოსავლეთი“; „ბიზანტიური ცივილიზაცია“ (პირველი სემესტრი); შუა საუკუნეების ევროპა. იდეოლოგია, კულტურა, განათლება“; „კონსტიტუციური და საპარლამენტო ტრადიციების დამკვიდრება ევროპაში“ (მეორე სემესტრი); „მსოფლიო ისტორიის მეცნიერული შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა – ევროპა-ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია“ ; „აშშ ისტორია“ (მესამე სემესტრი).

მსოფლიო ისტორიის არჩევითი კურსებია (18 კრედიტი) „ბერძენი და რომაელი ისტორიკოსები“; „ძველეგვიპტური რეფორმაცია“; „ანტიკური ცივილიზაცია შეიარაღება და სამხედრო საქმე ძველ ახლო აღმოსავლეთსა და ანტიკურ სამყაროში“; „რომის აღმოსავლური პროვინციების ისტორია“; „შუა საუკუნეების ევროპა იდეოლოგია. კულტურა. განათლება“; შეიარაღება და სამხედრო საქმე შუა საუკუნეების ევროპაში“; „აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი სლავები XIX-XX საუკუნეებში“; რუსეთის აღმოსავლური პოლიტიკა და კავკასია“; „ცივი ომის“ არსი, ძირითადი ფაზები, გლობალური ტენდენციები“; თურქეთის რესპუბლიკა: ისტორია და კულტურა“; „ტოტალიტარული რეჟიმები XX საუკუნეში“.

პროგრამის სავალდებლო თუ არჩევითი კურსებში მითითებული სასწავლო მასალა შეესაბამება განსაზღრულ საკითხებს და ასახავს დარგის მიღწევებს. კრედიტების რაოდენობა, მთლიანობაში, ასევე შეესაბამება კურსების შინაარსსა და განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.

მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო კურსების ძირითადი ნაწილი აკმაყოფილებს სტანდარტებს, გარკვეული კურსების შემთხვევაში აუცილებელია შესწორებების შეტანა წინაპირობების მითითების, საკითხების და ლიტერატურის დაზუსტების თვალსაზრისით (იხ. რეკომენდაციები და რჩევები).

მესამე სემესტრში ისწავლება სასწავლო კურსი „დარგობრივი უცხო ენა3“, რომელსაც არ აქვს წინაპირობა. აღნიშნული კურსის წინაპირობა უნდა გახდეს სასწავლო კურსი „დარგობრივი უცხო ენა2“.

გარკვეულ სასწავლო კურსებში, სადაც სავალდებულო ლიტერატურაში მითითებულია ინგლისურ ენოვანი მასალა, წინაპირობად უნდა მიეთითოს ინგლისური ენის ფლობა. იგივე უნდა ითქვას რუსულ ენასთან დაკავშირებით: თუ სავალდებულო ლიტერატურაში დარჩება რუსულენოვანი ტექსტები. მაგალითად შეიძლება დასახელდეს შემდეგი კურსები: „რომის აღმოსავლური პროინვიციების ისტორია“; „ძველი ეგვიპტური რეფორმაცია“; „შეიარაღება და სამხედრო საქმე შუა საუკუნეების ევროპაში“ და სხვა კურსები სადაც მსგავი ვითარებასთან გვაქვს საქმე.

გადასამაუშავებელია სილაბუსი „აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი სლავები XIX-XX საუკუნეებში“. ერთი კურსის ფარგლებში მსგავსი მოცულობის საკითხების დამუშავება,

წარმოუდგენელია. მითუმეტეს სამაგისტრო დონეზე უნდა ხდებოდეს კონკრეტულ საკითხებზე აქცენტირება. სილაბუსში მოცემულია ძალიან ფართო და კომპლექსური თემატიკა, რომელთაგან ნებისმიერი ცალკე სილაბუსად მომზადდებოდა. ამიტომ, აუცილებლად მიგვაჩნია საკითხის, პრობლემის ან/და პერიოდის დაკონკრეტება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სილაბუსები; ○ კურიკულუმის რუკა; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: გადასამაუშავებელია არჩევითი კურსის სილაბუსი „აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი სლავები XIX-XX საუკუნეებში“. ერთი კურსის ფარგლებში მოცემულია ძალიან ფართო და კომპლექსური თემატიკა, რომელთაგან ნებისმიერი ცალკე სილაბუსად მომზადდებოდა. ამიტომ, აუცილებლად მიგვაჩნია საკითხის, პრობლემის ან/და პერიოდის დაონკრეტება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია „დარგობრივი ინგლისური 3“, წინაპირობად განესაზღვროს „დარგობრივი ინგლისური 2“ ○ სასურველია გარკვეულ სასწავლო კურსებში, სადაც სავალდებულო ლიტერატურაში მითითებულია ინგლისურ ენოვანი მასალა, წინაპირობად მიეთითოს ინგლისური ენის ფლობა. იგივე უნდა ითქვას რუსულ ენასთან დაკავშირებით თუ სავალდებულო ლიტერატურაში დარჩება რუსულე ენოვანი ტექსტები. მაგალითად შეიძლება დასახელდეს შემდეგი კურსები: რომის აღმოსავლური პროინვიციების ისტორია; ძველი ეგვიპტური რეფორმაცია; შეიარაღება და სამხედრო საქმე შუა საუკუნეების ევროპაში და სხვა კურსები სადაც მსგავი ვითარებასთან გვაქვს საქმე. ○ „პროფესიულ პრაქტიკაში“ მეორდება მეორე და მე-8 კვირის საკითხები - ხელნაწერთა ცენტრის 50 წლიანი ისტორიის გაცნობა, ქართული წერილობითი კულტურის საწყისების ზოგადი მიმოხილვა. გასასწორებელია საკითხების დუბლირება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მაგისტრანტებისთვის ისტორიის სამაგისტრო პროგრამით განსაზღვრულია პროფესიული პრაქტიკის გავლა მე-3 სემესტრში, რომელიც დასრულდება პროექტის პრეზენტაციით. პროფესიული პრაქტიკა ხორციელდება სსიპ „კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში“ (იხ. მემორანდუმი ფოლდერი N 10), სადაც სტუდენტებს შეუძლიათ გაეცნონ ქართული სამწერლობო კულტურის ძეგლებს, უფრო ღრმად შეისწავლონ ხელნაწერებთან მუშაობის წესებში და ზოგადად მიიღონ მნიშვნელოვანი გამოცდლება პროფესიონალ მკვლევრად ჩამოყალიბების გზაზე. ბოლო, მე-4 სემესტრის განმავლობაში მაგისტრანტი მუშაობს საკვალიფიკაციო სამაგისტრო ნაშრომზე, რომელსაც წარმოადგენს დასკვნით საჯარო დაცვაზე. სამაგისტრო პროგრამაში (იხ. პუნქტი 17 – კვლევითი კომპონენტი) ჩამოთვილია გარკვეული თემატიკა, რომლის ფარგლებში მაგისტრანტებს შეეძლებათ კონკრეტული საკვლევ საკითხებზე მუშაობა. სტუდენტებმა ექსპერტებთან საუბრისას აღნიშნეს, რომ სასურველია თუ გაიზრდება პროფესიული პრაქტიკისთვის გამოყოფილი საათების რაოდენობა. გამომდინარე იქიდან, რომ უნივერსიტეტი სტუდენტების პრაქტიკის უზრუნველყოფისთვის თანამშრომლობს მხოლოდ ერთ დაწესებულებასთან, სასურველია თუ გაიზრდება პრაქტიკის დაწესებულებების რაოდენობა, (შესაძლებელია ამ მხრივ თანამშრომლობა ეროვნულ მუზეუმთან, ეროვნულ არქივთან და ა.შ.). ზოგადად, გარდა პრაქტიკულისა, პროგრამის ფარგლებში ყურადღება ექცევა სამეცნიერო/კვლევითი უნარების განვითარებას. ამისთვის ტარდება რიგი აკადემიური აქტივობებისა, მათ შორის კონფერნეციები, დისკუსიები და ა.შ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ დამსაქმებელთა და სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები. ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ მემორანდუმები, ხელშეკრულებები (ფოლდერი N10) ○ სამაგისტრო ნაშრომის დაცვისა და შეფასების კრიტერიუმები დამტკიცებული აკადემიური საბჭოს მიერ (დადგენილება № 05/01-362, 12. 10. 2017) იხ. http://sou.edu.ge/magister_programs).
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია გაიზარდოს პროფესიული პრაქტიკისთვის გამოყოფილი საათების რაოდენობა. აგრეთვე სასარგებლო იქნება თუ უნივერსიტეტი გამოიყენებს სხვა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების (მაგალითად საქართველოს ეროვნული არქივის, ეროვნული მუზემის) პოტენციალს სტუდენტების პრაქტიკის უზრუნველსაყოფად.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალ სასწავლო კურსებზე ხორციელდება სტუდენდენტებზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების მეთოდებისა და მიდგომების გამოყენება. კერძოდ, მეთოდები სტანდარტულია და შეესაბამება სწავლების საფეხურს. ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი ორიენტირებულია ზეპირი კომუნიკაციის უნარის განვითარებაზე. წიგნზე მუშაობა გულისხმობს ფოკუსირებულია ინფორმაციის მოძიების და აკადემიური ტექსტების გააზრების უნარების დახვეწაზე. წერითი მუშაობის მეთოდი სხვადასხვა მიმართულებით გამოიყენება მათ შორის იგულისხმება ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება; მასალის დაკონსპექტება; თეზისების შედგენა; რეფერატის, ან ესსეს შესრულება და ა.შ.პროგრამით ასევე განსაზღვრულია სწავლების ინტერაქტიული მეთოდების გამოყენება როგორებიცა დისკუსია/დებატები; ჯგუფური (collaborative) მუშაობა. ასევე აქცენტი კეთდება პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებაზე (PBL), შემთხვევის ანალიზზე (Case study), გონებრივი იერიშზე (Brain storming), დემონსტრირების მეთოდზე ა.შ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ სილაბუსები ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ, რაც მთავარია გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. სტუდენტების შეფასება ხდება ორი გზით : შუალედური და დასკვნითი.

ყველა სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამისობაშია ამ კურსის სწავლის შედეგებთან, რაც პროგრამის ერთ-ერთი ძლიერ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს. შემფასებლისთვის კარგადაა ცნობილი შეფასების თანამედროვე მეთოდები და შესაბამისად იყენებს კიდეც მას. შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გაწერილია სასწავლო კურსის სილაბუსებში შესაბამისი კომპონენტების მიხედვით და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის. ცალკეულ სასწავლო კურსებში შუალედური შეფასება ხორციელდება მხოლოდ ტესტური ფორმით. უკეთესი იქნებოდა შუალედური გამოცდები იყოს კომბინირებული სახით წარმოდგენილი, რომელიც შეიძლება მოიცავდეს როგორც ღია, ასევე დახურულ კითხვებს;

ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუების შედეგად შეიძლება დავადგინოთ, რომ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, სწავლის შედეგებზე, აგრეთვე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეებისა შედეგების გაუმჯობესების შესახებ ინფორმაციას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სასწავლო კურსის პროგრამა და სილაბუსები, ფაილი №12
- პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ფაილი №8;
- გამოკითხვის შედეგები. ფაილი №17;
- სტუდენტთა ელექტრონული პორტალი student.sou.ge;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველი იქნება შუალედური გამოცდები არ იყოს მხოლოდ ტესტური ფორმატით. ალბათ, უკეთესი იქნებოდა ის იყოს კომბინირებული სახით, რომელიც შეიძლება მოიცავდეს როგორც ღია, ასევე დახურულ კითხვებს;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევა წინა აკრედიტაციასთან შედარებით ის არის, რომ სილაბუსებში უფრო მეტი აქცენტი კეთდება თანამედროვე ლიტერატურაზე, განსაკუთრებით ეს ითქმის მსოფლიო ისტორიის მოდულზე, რაც პროგრამის კიდევ ერთი ძლიერი მხარეა; ○ სტუდენტებისათვის ახლა უფრო მეტი ელექტრონული სამეცნიერო ბაზა არის ხელმისაწვდომი.
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ სსუ-ის ისტორიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები მაქსიმალურად იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, შესაძლო დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციებს. ისინი

გრძნობენ კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას უნივერსიტეტის ადმინისტრაციისაგან. ამ მიმართულებით სსუ-ში რეგულარულად ტარდება საინფორმაციო ტიპის შეხვედრები. ამ ყველაფერში სტუდენტების მხარდაჭერას ახორციელებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შესაბამისი სამსახურები : - ფაკულტეტის დეკანი; - დეკანის მოადგილე; - სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახური; - სასწავლო პროცესის მართვის სამსახური; - სსუ სტუდენტთა პრაქტიკისა და კარიერის მართვის სამსახური; - სსუ სპორტის, კულტურის და ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან ურთიერთობის სამსახური. პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში. გარდა ამისა, მაგისტრანტებს აქვთ პროფესიულ პრაქტიკის კურსები, რომლებსაც ახორციელებენ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. ევროკავშირის საერთაშორისო პროექტის DARE-ს ფარგლებში სტუდენტებისათვის არსებობს სპეციალური უფასო სასწავლო კურსები ინგლისურ ენაში, ეროვნული უმცირესობებისთვის ქართულ ენაში, ასევე საოფისე პროგრამებში. მაგისტრანტები აქტიურად მონაწილეობენ გამოკითხვებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ფაკულტეტის დებულება ფაილი №4; ○ დებულება პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიასთან დაკავშირებით; ○ საერთაშორისო თანამშრომლობის ამსახველი დოკუმენტაცია; ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული გამოკითხვები, ფაილი №17; ○ სპორტის, კულტურისა და ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან ურთიერთობის სამსახურის დებულება; ○ მემორანდუმები და ხელშეკრულებები დამსაქმებლებთან, ფაილი №11; ○ სტუდენტთა კარიერისა და პრაქტიკის მართვის სამსახურის დებულება; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი, http://www.sou.edu.ge ○ სტუდენტთა აქტივობების (სამეცნიერო კონფერენციებსა თუ ფორუმებში მონაწილეობა) დამამტკიცებელი დოკუმენტები; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიღწევა წინა აკრედიტაციასთან შედარებით არის ის, რომ გაუმჯობესდა სტუდენტთა ელექტრონული ბაზები.
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სწავლების მე-4 სემესტრში სტუდენტი წერს და იცავს სამაგისტრო ნაშრომს, რომლის მიზანია გამოუმუშავოს მაგისტრანტს სამეცნიერო-კვლევითი პრაქტიკა. ღრმად და სისტემურად დაეუფლოს საკვლევი დარგის თეორიულ ცოდნას, პრაქტიკულ და კვლევით უნარებს პროფესიულ დონეზე. ამისათვის მაგისტრატურის თითოეულ სტუდენტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი და საჭიროების შემთხვევაში ერთი ან მეტი თანახელმძღვანელი, რომელსაც აქვს საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება. ხელმძღვანელს რეგულარული კონსულტაციები აქვს მაგისტრატურის სტუდენტებთან. კონსულტაციების სიხშირე შეესაბამება პროგრამისა და საკვლევი თემის სპეციფიკას. ხელმძღვანელი კონსულტირებას უწევს სტუდენტს კვლევით პროცესში შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით : თემის შერჩევა (თუ ჩამონათვალი თემატიკიდან არ სურს სტუდენტს არჩევა), შესაბამისი ლიტერატურის მოძიება, ნაშრომის შინაგანი და გარეგანი მხარის კორექტირება და ა.შ. პროგრამის ერთ-ერთ ძლიერ მხარეს წარმოადგენს ის, რომ სამაგისტრო ნაშრომს ჰყავს ორი რეცენზენტი. წარმოდგენილი საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვისას მაგისტრანტი ავლენს მის მიერ მიღებული შედეგების არგუმენტირებული გადმოცემის, სამეცნიერო დისკუსიაში მონაწილეობის, საკვლევი მასალის მოძიების, აქტუალური პრობლემების გამოვლენისა და ფორმულირების უნარებს. უნივერსიტეტის ვებგ-ვერდზე განთავსებულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ინსტრუქცია, ასევე პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. პროგრამას აქვს სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი. ყველა ეს დოკომენტი არეგულირებს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცედურებს. სამაგისტრო ნაშრომების თემატიკა ძალიან მრავალფეროვანია, როგორც საქართველოს ისტორიის, ისე მსოფლიო ისტორიის მოდულებით. გამჭვირვალე და ობიექტურია სამაგისტრო ნაშრომების შეფასების სისტემა, რასაც ადასტურებს ვიზიტისას წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომები. ყველაფერი ეს ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა და სილაბუსები;
- მაგისტრატურის დებულება;
- დაცული სამაგისტრო ნაშრომების სია, ფაილი №7;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV, ფაილი №3;
- აკადემიური პერსონალის კვლევის მაჩვენებელი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის, წარმოდგენილი დოკუმენტაციის (აკადემიური პერსონალის მონაცემები) შესწავლისას და პერსონალთან შეხვედრამ დაადასტურა აკადემიური პერსონალის კომპეტენცია სწავლის შედეგების მისაღწევად.

პროგრამაში ჩართული პერსონალის ბიოგრაფიები და წარმოდგენილი შრომები, პუბლიკაციები, კონფერენციებში მონაწილეობა და სხვა აქტივობები ადასტურებს მათ კვალიფიკაციას.

პროგრამაში ჩართული პერსონალის კვლევის სფეროებია: საქართველოსა და მსოფლიოს ისტორია სხვადასხვა ქრონოლოგიურ და გეოგრაფიულ ჩარჩოში, საქართველოს ცალკეული რეგიონების, განსაკუთრებით აფხაზეთის, ისტორია. საქართველოსა და მისი ცალკეული რეგიონების ეპიგრაფიკა, ისტორიოგრაფია და სხვ.

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრებმა ცხადყო აკადემიური პერსონალის და განსაკუთრებით, პროგრამის ხელმძღვანელების განსაკუთრებული ავტორიტეტი და აქედან გამომდინარე სტუდენტების მოტივაცია ისწავლონ ამ პროგრამაზე. პროგრამას ჰყავს სამი ხელმძღვანელი, სამივე მათგანი მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტია და ჩართულია პროგრამის განხორციელებაში.

პროგრამაში ჩართულია 17 განმახორციელებელი, რომელთაგან აკადემიურ პერსონალს წარმოადგენს 13, ხოლო 4 მოწვეულია. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამაში ჩართული პერსონალი იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს სწავლების პროცესში.

„ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, რომელსაც ჰყავს შესაბამისი რაოდენობისა და კვალიფიკაციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან შეხვედრამ და ინტერვიუებმა ცხადყო, რომ უნივერსიტეტი ხელს უწყობს პროგრამის განხორციელებას და მისი რესურსები ადმინისტრაციისა და დამხმარე პერსონალის სახით თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ეხმარებიან

ფაკულტეტსა და პროგრამის უშუალო განმახორციელებლებს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის შეუფერხებელ ფუნქციონირებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის მაღალი კომპეტენცია და პროგრამაში ჩართულობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები და შრომის ხელშეკრულებები - იხილეთ ფოლდერი N 3
- ადმინისტრაციული ერთეულების დებულებები - იხილეთ, ფაილები N 21, 22, 24, 25,
- ფაკულტეტის დებულება - იხილეთ ფაილი N 22
- უნივერსიტეტის სტრუქტურა - განთავსებულია ვებ-გვერდზე;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. ➢ აკადემიური პერსონალი ჩართულია საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე ტრენინგებში. ➢ აკადემიური პერსონალი სწავლის დროს იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს, ინტერაქტიულ დაფებს, კომპიუტერულ კლასს და ა. შ.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტი რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს, რასაც იყენებს პროგრამის შემდგომი სრულყოფისათვის. პერიოდულად ხდება სტუდენტების ანონიმური გამოკითხვა, რაც გამოყენებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესაფასებლად. უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარებას, უნივერსიტეტში წესდებით გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის (5 წელიწადში ერთხელ) 6 თვიანი სამეცნიერო შვებულება /მივლინება, ხელფასის სრული შენარჩუნებით. მიუხედავად ამისა, აკადემიურ პერსონალს აქვს შემდეგი ხასიათის რეკო-მენდაციები: - მეტი აქტიურობა სასწავლო-საგანმანათლებლო ტრეინინგებში; - მონაწილეობა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში; - მეტი მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებში; - ახალი კვალიფიციური კადრების მომზადება, - ლექციებთან შედარებით პრაქტიკული სამუშოების წილის ზრდა; - აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქციის გამოცემასთან დაკავშირებული ხარჯების გაზრდა. აქედან გამომდინარე, სასურველია უნივერსიტეტმა უფრო მეტად იზრუნოს აკადემიური პერსონალის ფინანსურ მხარდაჭერაზე, ინტერნაციონალიზაციის გაზრდაზე. სასურველია ბიუჯეტში უფრო მეტად იყოს გათვალისწინებული სამეცნიერო კონფერენციებისა და მონოგრაფიების გამოცემის ხარჯები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o საერთაშორისო კონფერენციების მასალებით - იხილეთ აკადემიური პერსონალის

კვლევის მაჩვენებელი - ფოლდერი N 18 ○ უნივერსიტეტის ბიუჯეტით - იხილეთ უნივერსიტეტის ბიუჯეტ ○ მივლინების დოკუმენტაციით - - იხილეთ საერთაშორისო აქტივობა ფოლდერი N 12 ○ აკადემიური პერსონალის ყოველწლიური ანგარიშებით - იხილეთს ფოლდერი N 18 ○ უნივერსიტეტის ვებგვერდით ○ სამეცნიერო კრებულებით, რომელიც ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, საჯარო ბიბლიოთეკაში და უნივერსიტეტის ელექტრონული ბიბლიოთეკის გვერდზე https://elibrary.sou.edu.ge
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია უნივერსიტეტმა უფრო მეტად იზრუნოს აკადემიური პერსონალის ფინანსურ მხარდაჭერაზე, ინტერნაციონალიზაციის გაზრდაზე. სასურველია ბიუჯეტში უფრო მეტად იყოს გათვალისწინებული სამეცნიერო კონფერენციებისა და მონოგრაფიების გამოცემის ხარჯები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის თვითშეფასების ანალიზზე დაყრდნობით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, ადმინისტრაციის, ფაკულტეტის, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებამ საფუძველი მოგვცა დავასკვნათ, რომ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, სასწავლო აუდიტორიები, ტექნიკური აღჭურვილობა, კომუნიკაციები და ინტერიერი, ბიბლიოთეკა აკმაყოფილებს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ცალკეული აუდიტორიები აღჭურვილია თანამედროვე ე.წ. სმარტდაფებით. სტუდენტებს აქვთ წვდომა ელექტრონულ

რესურსებთან. ბიბლიოთეკას აქვს როგორც წიგნადი, ისე ციფრული ფონდები. სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა ან ბეჭდური ან ელვერსიის სახით განთავსებულია ბიბლიოთეკაში. მიუხედავად ამისა, აკადემიური პერსონალის სურვილია ბიბლიოთეკის გამდიდრება ახალი მეთოდური სახელმძღვანელოებით და უცხოეთიდან დარგის შესაბამისი ჟურნალების გამოწერა. უნივერსიტეტს გააჩნია სპეციალურად სტუდენტებისათვის გამოყოფილი ოთახი, რომელიც კეთილმოწყობილია და აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით. სტუდენტები ადასტურებენ უნივერსიტეტში ყოველწლიურ ცვლილებას უკეთესობისკენ. შეინიშნება შარშანდელთან შედარებით აშკარა პროგრესი ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობასთან მიმართებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სასწავლო კორპუსის გეგმით; ○ საბიბლიოთეკო ფონდებით/ საბიბლიოთეკო ინტერნეტ-რესურსებით - იხილეთ ფაილი N 23 ○ ვიზუალური დათვალიერებით; ○ სამეცნიერო ბაზებთან დადებული ხელშეკრულებები - იხილეთ ფოლდერი N 10 ○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფაკულტეტის ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურებას. როგორც პროგრამის თვითშეფასებაშია აღნიშნული საჭიროა უნივერსიტეტის ბიუჯეტის უფრო ნათელი კონცეფციის შექმნა, რაც საშუალებას მისცემს ფაკულტეტის მესვეურებს ანალოგიურად შექმნან ბიუჯეტის შედარებით ნათელი კონცეფცია. ფაკულტეტის ბიუჯეტის ტრადიცია უნივერსიტეტში ადრე არ არსებობდა და ის საჭიროებს დახვეწას. ისტორიის სამაგისტრო პროგრამას ჰყავს მცირე რაოდენობით სტუდენტი, პროგრამას აქვს ორი მოდული, რაც უფრო მეტად ზრდის ხარჯებს. პროგრამის ხელმძღვანელებმა ექსპერტებთან საუბრისას აღნიშნეს, რომ პროგრამა ფინანსურად მდგრადი არ არის, რადგან გასავალი სჭარბობს შემოსავალს, აქედან გამომდინარე პროგრამა დოტაციაზეა. პროგრამის მესვეურებმა უნდა იზრუნონ სტუდენტების რაოდენობის გაზრდაზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას. პროგრამას სტაბილურად ყავს გარკვეული რაოდენობის სტუდენტები. ფინანსური გასავალი არ აღემატება შემისავალს. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ რომ პროგრამა ფინანსურად მდგრადია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სსუ ბიუჯეტი; ○ პროგრამის ბიუჯეტი - იხილეთ ფოლდერი N 13
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. **სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შიდა საუნივერსიტეტო შეფასებას უზრუნველყოფს დაწესებულების და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. საორიენტაციოდ აღებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების და პროცედურების შემდეგი პრინციპები: „დაგეგმე – განახორციელე – შეამოწმე – განავითარე“. უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად იყენებს შიდა შეფასების შემდეგ მექანიზმებს. კერძოდ, ირჩევა საგანმანათლებლო პროგრამების შიდა შემფასებელი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში შემფასებელი აკადემიური პერსონალის შემადგენლობიდან. პროგრამის შეფასებისას კონფედენციალობა დაცულია. ზოგადად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს: ა) საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმას სამაგისტრო პროგრამებისთვის. შეიმუშავებს პროგრამის სრულყოფის, მოდიფიცირებისა და განახლების თაობაზე რეკომენდაციებს. ბ) სილაბუსის შეფასების ფორმას და უზრუნველყოფს შიდა შემფასებლის მიერ მის შევსებასა და დასკვნის წარმოდგენას; გ) პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასების ფორმებს; დ) სტუდენტის შეფასების ფორმებს; ე)კურსდამთავრებულის შეფასების ფორმებს. სასწავლო წლის დასაწყისში საჭიროების შემთხვევაში, პროგრამების შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე ფაკულტეტის საბჭოსთან შეთანხმებით მზადდება საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირების შესახებ წინადადებები და შესაბამისი რეკომენდაციები. მიღებული პრაქტიკაა სასწავლო პროცესზე დაკვირვება peer-review პროცედურების საშუალებით; ასევე, ლექციების გაუმჯობესებისა და უკუკავშირის მიღების მიზნით რეკომედნირებულია ყოველი კურსის ბოლოს ლექტორების მიერ სტუდენტებს მცირე გამოკითხვა ჩატარება. თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით, გადახედვას ექცემდებარება სილაბუსების შინაარსობრივი მხარე, ლიტერატურა, სწავლა/სწავლების მეთოდები. ცალკე ფასდება პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი კომპეტენცია. სასწავლო წლის ბოლოს ხორციელდება ყოველწლიური სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშების მომზადება, სპეციალურ ფორმების საფუძველზე. სტუდენტთა შეფასება უმთავრეს ინდიკატორს წარმოადგენს სტუდენტთა

აკადემიური მოსწრება; ცალკე არის გათვალისწინებული კურსდამთავრებულის და დამსაქმებლის შეფასება მათი საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფასა და განვითარებაში ჩართულობის მიზნით. ამ შემთხვევაში გამოიყენება გამოკითხვის მეთოდი; გამოკითხვები ტარდება იმ ორგანიზაციებთან და პრაქტიკის ობიექტებთან, რომლებთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები (მემორანდუმები).
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმები (ფოლდერი N 15) ○ კურიკულუმის განვითარების კომისიის ოქმები (ფოლდერი N 2) ○ სტუდენტთა, აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები (ფოლდერი N 16) ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხოციელებისას იყენებს გარე ხარისხის შეფასების მექანიზმებს და შედეგებს. კერძოდ, 1. მოქმედი პროგრამების, პროგრამის რეაკრედიტაციის და ახალი პროგრამის დამატების შემთხვევაში უნივერსიტეტი ცენტრის მიერ დადგენილ ვადებში სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს; 2. პროგრამის აკრედიტაციის მიზნით შეარჩევს საგანმანათლებლო პროგრამების გარე ექსპერტს (შემფასებელს) საქართველოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გარე შეფასების შედეგები და მათი რეკომენდაციების შედეგად განხორციელებული ცვლილებები (ფოლდერი N 16,ფაილი N 1)
- ბაზრის კვლევის მონაცემები (ფოლდერი N 9).
- გარე ექსპერტის შეფასების შედეგები (ფოლდერი N 16,ფაილი N 1)
- საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პერიოდული მონიტორინგის და შეფასების მიზნით, ხდება პროგრამის შედარება (benchmark) უცხოეთის უნივერსიტეტების ანალოგიურ, თანამედროვე კურიკულუმებთან.

ცვლილებების შემთხვევაში, ამის შესახებ თვითშეფასების ანგარიში ეგზავნება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

სასწავლო პროცესის ხარისხიანობის საილუსტრაციოდ და შესაფასებლად გამოიყენება სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონაცემები.

უსდ აგრეთვე ითვალისწინებს პროგრამის განხოციელებაში მონაწილე ან დაინტერესებული ყველა მხარის – აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციისა და სტუდენტების, რიგ შემთხვევებში დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების – გამოკითხვის შედეგებს. გარდა ამისა, სტუდენტებისათვის მასტერ-კლასების ჩატარება, სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების ჩატარება, საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში სტუდენტების მონაწილეობა მნიშვნელოვან ინდიკატორად განიხილიება პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კურიკულუმის განვითარების კომისიის ოქმები (ფოლდერი N 2) ○ სტუდენტთა, აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები (ფოლდერი N 16) ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ პროგრამის მონიტორინგი და რეკომენდაციების შედეგად განხორციელებული ცვლილებები (ფოლდერი N 15)
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

დასკვნის გვერდების რაოდენობა:

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის
სახელი, გვარი, ხელმოწერა მალხაზ თორია

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის
სახელი, გვარი, ხელმოწერა ლევან ჯიქია

სახელი, გვარი, ხელმოწერა ირაკლი ნოდია